

შპს „ფემილი კრედიტი“ - მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

## **შპს „ფემილი კრედიტი“**

### **მმართველობის ანგარიშგება მფლობელებს და ხელმძღვანელობას:**

ჩვენი ვალდებულებაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და ამავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან შესაბამისობის თაობაზე.

აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით ჩვენ განვსაზღვრავთ არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მივუთითებთ მათ არსს.

### **მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება მოქმედ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

### **მოსაზრების საფუძველი**

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „ფემილი კრედიტი“ -ს თანმხლები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „ფემილი კრედიტი“ -ს მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სს „ფი ქეი ეფ კაიზენმა“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე

სს „ფი ქეი ეფ კაიზენი“

27 სექტემბერი, 2021 წელი

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე



სს „ფი ქეი ეფ კაიზენი“

27 სექტემბერი, 2021 წელი


## 1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შპს მისო „ფემილი კრედიტი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. კომპანია საქმიანობას ეწევა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისა და წესების შესაბამისად.


შპს მისო „ფემილი კრედიტი“ დაფუძნდა 2016 წლის 3 მაისს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი ეროვნულ ბანკში მიენიჭა 2017 წლის 22 ივნისს (საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N565 განკარგულება) რეგისტრაციის #1220617.

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება. ორგანიზაციის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორი.

ორგანიზაციის დამფუძნებლების სტრუქტურა დაფუძნების დღიდან არ შეცვლილა და მიმდინარე პერიოდისთვისაც კომპანიის პარტნიორები არიან:




ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი წევრისაგან:



კომპანიის დირექტორი არის დიანა ბალხამიშვილი.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფემილი კრედიტს“ 2016 წლის ბოლოსათვის დასაქმებული ჰყავდა 28 თანამშრომელი. 2017 წელს დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა და გახდა 82. 2018 წლისათვის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 121-ს. 2019 წლის ბოლოსათვის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფემილი კრედიტს“ დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 137 თანამშრომელი. 2020 წელს კი „კოვიდ 19“-ით გამოწვეული პანდემიით შექმნილმა სიტუაციამ, ხარჯების ოპტიმიზაციის კუთხით გამოიწვია რიგი საშტატო ერთეულების გაერთიანება და დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 101 თანამშრომლამდე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილია კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა დაარსების დღიდან დღემდე.



გასული წლების ანალოგიურად, დღესაც ორგანიზაციისათვის პრიორიტეტულ საკითხად რჩება თანამშრომლების განათლების ხარისხის, გამოცდილების და კომპეტენტურობის ამაღლება. სწორედ ამიტომ კომპანია მუდმივად ცდილობს, ხელი შეუწყოს დასაქმებულების პროფესიონალურ განვითარებას და გამოცდილი კადრების მოზიდვას. ხდება კომპანიის ხარჯით სხვადასხვა ფასიან ტრენინგებზე თანამშრომელთა დასწრების უზრუნველყოფა მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლების მიზნით. საქართველოში არსებულ დასაქმების საიტებზე უწყვეტად დევს ახალი ვაკანსიები. ჩვენთან დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის უმაღლესი განათლებით. კადრების კვალიფიციურობა კომპანიას ეხმარება მომხმარებლებთან ურთიერთობის სწორად წარმართვასა და კომპანიის გამართულად ფუნქციონირებაში. თანამშრომლებს გარდა კარგი მატერიალური ანაზღაურებისა, ასევე აქვთ მუდმივი კარიერული ზრდის შესაძლებლობა. წარმატებული საკრედიტო ოფიცრები ხდებიან საკრედიტო ჯგუფების ხელმძღვანელები, კარგი საკრედიტო ჯგუფის უფროსები ხდებიან ფილიალების მმართველები, წარმატებული ფილიალების ხელმძღვანელებიდან ხდება რეგიონალური მენეჯერების არჩევა და ა.შ.

## 2. ფილიალები, შეთავაზებული პროდუქტები და პორტფელი

მისო „ფემილის კრედიტის“ იურიდიული მისამართია: ქ.ქუთაისი, ფარნავაზ მეფის ქ. N23. სათაო ოფისის ფაქტიური მისამართია ქ.ქუთაისი, ზ.ფალიაშვილის ქ. N33

2020 წლის მდგომარეობით, გარდა სათაო ოფისისა ფუნქციონირებს შპს მისო „ფემილი კრედიტის“ 15 ფილიალი:

- ქუთაისის N1 ფილიალი
- ზესტაფონის ფილიალი
- სამტრედიის ფილიალი

- სენაკის ფილიალი
- ფოთის ფილიალი
- ზუგდიდის ფილიალი
- ოზურგეთის ფილიალი
- ვანის ფილიალი
- ხაშურის ფილიალი
- ბორჯომის ფილიალი
- გორის ფილიალი
- წნორის ფილიალი
- გურჯაანის ფილიალი
- თელავის ფილიალი
- ბათუმის ფილიალი

ისევე როგორც 2019 წელს, 2020 წელსაც გაგრძელდა გაყიდვის წერტილების გამსხვილება და დაბალი აქტივობის მქონე ფილიალების ლიკვიდაცია. ხობის ფილიალი შეუერთდა სენაკის ფილიალს, ლაგოდეხის ფილიალის საკრედიტო პორტფელი განაწილდა წნორის ფილიალზე.

2020 წელს კომპანიის ფილიალების ქსელი არ გაზრდილა და ახალი ფილიალი არ დამატებულა.

საფინანსო ბაზარზე დამკვირდრებული ახალი თამაშის წესების შესაბამისად 2018 წლის ბოლოსათვის კომპანიის მომხმარებელთა სეგმენტს წარმოადგენდა მხოლოდ მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც სარგებლობენ ბიზნეს სესხებით. ასევე მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის კომპანიას შემუშავებული აქვს სწრაფი სესხი საბრუნავი საშუალებების შესავსებად. აღნიშნული სწრაფი სესხები გათვლილია ლოკალური ბიზნეს გარემოზე არსებული სავაჭრო წერტილებზე, აღნიშნული სესხის დამტკიცება ხდება სესხზე განაცხადის მიღებიდან 2-4 საათის ინტერვალში, რომელიც მარტივი და ხელმისაწვდომია.

არსებულ პროდუქტზე პირობები და საპროცენტო განაკვეთები შემდეგნაირია:

- **ბიზნეს სესხი**

მინიმალური თანხის მოცულობა **200 ლარი**

მაქსიმალური თანხა - პირველი სესხის შემთხვევაში **1500 ლარი**, განმეორებითი


სესხის შემთხვევაში მაქსიმუმ **4000 ლარი**

*საპროცენტო განაკვეთი დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით შეადგენს მაქსიმუმ ეფექტურ 50 %-ს.*


**გაცემული სესხების მოცულობის დიაგრამა იხილეთ :**




## გაცემული სესხების სტატისტიკა 2016 წელს




## გაცემული სესხების სტატისტიკა 2017 წელს



## გაცემული სესხების სტატისტიკა 2018 წელს



სესხების გაცემის ჯამური სტატისტიკა წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება



2020 წელსაც ერთ მსესხებელზე გაცემული კრედიტის საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი გაიზარდა. დიდი პორტფელის და ვადაგადაცილებული სესხები მცირე მაჩვენებლის მქონე ფილიალებს მიეცათ უფლება განსაკუთრებულ კლიენტებზე გაეცათ 4000 ლარზე ზემოთ სესხები. გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებზე მნიშვნელოვანდ მეტი სესხის გაცემა მოხდა ახალდ გახსნილ ბათუმისა და ზუგდიდის ფილიალებში

2019 წლიდან კომპანიამ დანერგა ახალი საკრედიტო პროგრამა- DG Loan, რომელმაც ერთის მხრივ კომპანიის თანამშრომლებს გაუმარტივა მუშაობა, მეორეს მხრივ პროგრამა ადაპტირებულია ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან და შესაძლებელი გახდა ყველა მოთხოვნილის ინფორმაციის/რეპორტის გენერირება. აღნიშნულმა პროგრამამ ასევე შეცდომები დაიყვანა მინიმუმამდე. ახალმა პროგრამამ ასევე საშუალება მისცა კომპანიის მენეჯმენტს სხვადასხვა სახის რეპორტების გენერირების და აქედან გამომდინარე პორტფელის/კომპანიის სრულფასოვანი ანალიზის ჩატარების საშუალება, შესრულებული ოპერაციების სრულყოფილმა ანალიზმა კი თავის მხრივ კომპანიის განვითარების სწორად დაგეგმვის საშუალება.

2019 წლის დასაწყისიდან კომპანიამ დაიწყო სს „კრედიტ ინფო საქართველოსთან“ თანამშრომლობა. აღნიშნული თანამშრომლობა ერთის მხრივ სავალდებულო მოთხოვნა იყო ეროვნული ბანკის, მეორეს მხრივ კომპანიას მისცა კლიენტების კიდევ უფრო სრულყოფილი ანალიზის ჩატარების საშუალება. შესაბამისად საშუალება მოგვეცა რისკების შეფასების ხარისხი მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა და საკრედიტო პორტფელის ხარისხის მიზნობრივ მაჩვენებლებზე შეგვენარჩუნებინა.

კომპანიამ ასევე დანერგა ახალი მომსახურება მობილური გადახდის საშუალებებით ე.წ „პოკეტებით“ თანხის გადახდა. კომპანიის თანამშრომელი კლიენტის სურვილის შემთხვევაში სესხის გადახდებზე ადგილზე ემსახურება კლიენტს, ართმევს თანხას და ე.წ. „პოკეტიდან“ უბეჭდავს შემოსავლის ქვითარს. „პოკეტი“ ონლაინ რეჟიმში დაკავშირებულია

კომპანიის საკრედიტო პროგრამასთან. შესაბამისად კლიენტის კრედიტის შესახებ ინფორმაცია ონლაინ ხელმისაწვდომია. ასევე გადახდა ონლაინ აისახება საკრედიტო პროგრამაში. „პოკეტმა“ საშუალება მისცა კომპანიას, ერთის მხრივ გაეუმჯობესებინა კლიენტების მომსახურების ხარისხი და მეორეს მხრივ გაჩნდა დამატებითი შემოსავლის გენერაციის საშუალება. 2020 წელს განვახლეთ მობილური გადახდის საშუალებების ტექნიკური ბაზა და არსებული აპარატები ჩანაცვლდა ახალი თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფების მქონე აპარატურით.

2019 წელს ჩატარდა საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანო ზედამხედველობის დეპარტამენტის აუდიტორული ჯგუფის მიერ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფემილი კრედიტის“ კომპლექსური რევიზია. რევიზია შეეხო ორგანიზაციის საქმიანობის ყველა მიმართულებას ეროვნულ ბანკზე მოწოდებული ყოველთვიური საანგარიშგებო ფორმების მიხედვით. საერთო ჯამში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობა შეფასდა დადებითად.

### **3. მომხმარებელთა უფლებების დაცვა**

კომპანია მაქსიმალური ყურადღებით ეკიდება მომხმარებელთა უფლებების დაცვას. იშვიათ გამონაკლისებში, როცა კლიენტს გააჩნია მომსახურების ხარისხზე თუ სხვა სერვისზე პრეტენზია - ყველა თანამშრომელი აუცილებელი წესით სთავაზობს შეავსოს კლიენტის პრეტენზიის შესაბამისი ფორმა დეტალური აღწერით. კლიენტის პრეტენზიაზე კომპანიას აქვს დაუყოვნებლივი რეაქცია, რაც დადებითად აისახება როგორც შემდგომი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე - ასევე ორგანიზაციის საერთო იმიჯზე. ყველა კლიენტის პრეტენზიის აღწერა, შესაბამისი ანალიზით და გატარებული ღონისძიებების მითითებით იგზავნება საქართველოს ეროვნულ ბანკში მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებაში. პრეტენზიების ფორმები განთავსებულია კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და მომხმარებელს შეუძლია მარტივად დააფიქსიროს მისი მოთხოვნები/პრეტენზიები. აღსანიშნავია, რომ სრული 2020 წლის განმავლობაში სულ რამოდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა მომხმარებელთა მხრიდან პრეტენზიის დაფიქსირების, რომელსაც მიეცა დაუყოვნებლივი რეაგირება.

### **4. საპროცენტო განაკვეთების დინამიკა.**

მისო „ფემილი კრედიტი“ მუდმივად ცდილობს ფეხი აუწყოს მიკროსაფინანსო ბაზარზე მომხმარებელთა ცვლილებებს და შესაბამისად დაარეგულიროს საპროცენტო განაკვეთები. რაც თავის მხრივ მიბმულია საერთო საფინანსო ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე და მის მიერ ბანკებისგან და ფიზიკური პირებისგან მოზიდულ სახსრებზე არსებულ განაკვეთებზე. რადგან მიკროსაფინანსო ბაზარი მაღალ რისკიან ბაზარს წარმოადგენს,

აღნიშნული რისკი მეტნაკლებად დაბალანსებულია საბანკო პროდუქტებთან შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთებით.

## **5. ფინანსური მაჩვენებლები**

კომპანიის ძირითად საქმიანობაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული მიკრო კრედიტების გაცემა მცირე და საშუალო შემოსავლის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებზე

ორგანიზაციის დაარსებიდან დღემდე კომპანიის ერთადერთ სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა ლარი.

საოპერაციო შემოსავლების წილი მთლიან დასაბეგრ შემოსავლებში 99,5%-მდეა. რაც იმას ნიშნავს რომ კომპანიის შემოსავლების უდიდესი ნაწილი ძირითად საქმიანობაზე, მეწარმე ფიზიკური პირების დაკრედიტებაზე მოდის და შესაბამისად შედგება საკრედიტო პორტფელიდან მიღებულ საპროცენტო და საკომისიო შემოსავლებისგან.

2018 წელი კომპანიამ დაასრულა 229 125 ლარის ზარალით

წმინდა მოგება 2019წ -507 978 ლარი

წმინდა მოგება 2020წ - 28 124 ლარი

2020 წლის ბოლოსათვის ორგანიზაციას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ყველა საზედამხედველო კოეფიციენტი ქონდა ნორმის ფარგლებში.

- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი - 60.2%
- ლიკვიდურობის კოეფიციენტი- 215.6%
- ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი- 13.9%

## **2020 წელს ჩამოყალიბებული ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები**

2016 წლიდან 2017 წლამდე კომპანია მუშაობდა მაღალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რაც ხდიდა შესაძლებლობას დაგვეფინანსებინა შედარებით მაღალი რისკის მქონე სეგმენტი. კლიენტის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ხდებოდა გამარტივებული წესით, კლიენტის ნეგატიური საკრედიტო ისტორია არ ხდებოდა კრედიტის გაცემაზე უარის თქმის აუცილებელი საფუძველი. საკრედიტო პროდუქტი იყო სრულად მორგებული კლიენტის საქმიანობაზე, ხდებოდა ოჯახის წევრების შემოსავლებისა და ხარჯის ჩართვა ფინანსურ ანალიზში. კრედიტების უმრავლესობა გაიცემოდა თავდების გარეშე.

2017 წლიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 100%-მდე. რის შემდეგაც მნიშვნელოვნად შეიცვალა კომპანიის საკრედიტო პოლიტიკა. მოხდა არსებული კლიენტების კლასიფიკაცია, გაიზარდა თავდებობით უზრუნველყოფილი სესხების რაოდენობა, შემცირდა ერთ კლიენტზე გაცემული სესხის საშუალო ოდენობა, საკრედიტო პორტფელის ზრდას კომპანიამ მიაღწია ახალი გაყიდვის წერტილებისა და დამატებითი ბაზრების ათვისების ხარჯზე.

2018 წელს მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 50%-მდე, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა პროცენტული შემოსავალი - შესაბამისად კომპანიის მოგება. ორგანიზაციის მენეჯმენტის გადაწყვეტლებით აქცენტირება გაკეთდა მომავალ 2019 წელზე და მიუხედავად ფილიალების უმეტესობის უარყოფითი ფინანსური მაჩვენებლებისა არ მოხდა მათი ლიკვიდაცია. შენარჩუნებული იქნა თანამშრომლების რაოდენობა და დაისახა მომავალი განვითარების სტრატეგია. მიუხედავად იმისა, რომ საფინანსო ბაზარზე კონკურენცია ძალიან მაღალია, კომპანია ცდილობს კლიენტებთან მომსახურების ხარისხის, სესხის დამტკიცების ოპერატიულობის და მოქნილი სარეკლამო საქმიანობის ხარჯზე შეინარჩუნოს თავისი წილი ბაზარზე. თითოეულ კლიენტთან ურთიერთობას ექცევა მაქსიმალური ყურადღება, ხდება ძველი და კარგი გადახდების მქონე კლიენტების წახალისება და ა.შ.

კომპანიაში შექმნილი პრობლემურ სესხებთან მუშაობის განყოფილება, კლიენტებს, რომლებთან შეექმნათ გაუთვალისწინებელი ფინანსური პრობლემები სთავაზობენ სესხების რესტრუქტურისაციას მათვის მისაღები გრაფიკით და ვადით. თითოეული კლიენტის ანალიზზე ხდება ვადაგადაცილების პერიოდში დარიცხული პირგასამტეხლოს პატიება. წარმატებით ვთანამშრომლობთ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან გამარტივებული წესით. აღსანიშნავია, რომ გახსნის დღიდან დღემდე სასამართლო დავა რომელიმე კლიენტთან კომპანიას არ ქონია.

მიმდინარე პერიოდისათვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება „კოვიდ 19“ ინფექციით გამოწვეული პანდემია. 2020 წლის პირველ და მეორე კვარტალში სრული ლოკდაუნის პირობებში მნიშვნელოვნად შეფერხდა ორგანიზაციის ფუნქციონირება. გარკვეული პერიოდი სრულად შეიზღუდა სესხების გაცემა. ბიზნეს-სესხებზე, რომელთა საქმიანობა იყო პანდემიის პირობებში შეჩერებული - მოვახდინეთ გადახდების გადავადება და გრაფიკების გადაწევა. მაქსიმალურად ვიყავით ორიენტირებული კლიენტზე და ხდებოდა ინდივიდუალური მიდგომა თითოეულ მსესხებელზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე.

## 6. განვითარების გეგმები

დღევანდელი მდგომარეობით ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1 500 000 ლარს. სადამფუძნებლო კაპიტალის გაზრდით და მაღალი კაპიტალიზაციის ხარჯზე კომპანია აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ კოეფიციენტებთან შესაბამისობის მოთხოვნებს. 2021 წელს მოსალოდნელი ფინანსური შედეგებიდან გამომდინარე იგეგმება საწესდებო კაპიტალის ზრდა მინიმუმ 500 000 ლარის ოდენობით.

კომპანია აქტიურად ჩაერთო მიმდინარე პროცესებში საფინანსო ბაზარზე ახალი თამაშის წესების დამკვიდრების შესაბამისად, რაც თავის თავში გულისხმობს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დანერგვას. საკრედიტო ბაზრის ყოველდღიურ ანალიზზე დაყრდნობით აქტიურად ვეძებთ და ვფიქრობთ, დავამატოთ ახალი საკრედიტო

პროდუქტები, რომლებიც შესაბამისი იქნება ახალ მოთხოვნებთან და იქნება კონკურენტუნარიანი.

კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ მიღებული ლიცენზიით გათვალისწინებული მომსახურების სრული სპექტრის ათვისება: უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციები, ფულადი გზავნილები, კომუნალური გადასახადები. გრძელდება მოლაპარაკება რამდენიმე სადაზღვევო კომპანიასთან და ავამოქმედოთ სიცოცხლის დაზღვევის ნებაყოფლობითი მექანიზმი.

გასული წლის ანალოგიურად (არსებულმა პანდემიამ შეაფერხა ეს პროცესი) კომპანიის განვითარების საშუალოვადიან გეგმებში კვლავ შედის ახალი ფილიალების გახსნა საქართველოს დანარჩენ რეგიონებში, (რუსთავი, ახალციხე, მარნეული) რაც დამატებით საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ საკრედიტო პორტფელის მაქსიმალური დივერსიფიკაცია და ახალი ბაზრების ათვისება. ასევე ვგეგმავთ საკრედიტო პროდუქტებში ცვლილებას (ვადის და თანხის გაზრდა) და ახალი საკრედიტო პროდუქტების დამატებას (ავტო ლომბარდი, აგრო სესხი).

2020 წელს მნიშვნელოვანი როლი დაეთმო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უკანონო შემოსავლების აღკვეთის და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით საკითხებს. დაიხვეწა და სრულიად განახლდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის პოლიტიკა-პროცედურები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კლიენტის იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციის წესები და მოხდა მათი პრაქტიკაში იმპლემენტაცია. სრულად განახლდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები სანქცირებულ სიაში და პოლიტიკურად აქტიური პირების, ასევე საექვო/უჩვეული, ურთიერთდაკავშირებული პირების გამოვლენის კუთხით .

დირექტორი



პროდუქტები, რომლებიც შესაბამისი იქნება ახალ მოთხოვნებთან და იქნება კონკურენტუნარიანი.

კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ მიღებული ლიცენზიით გათვალისწინებული მომსახურების სრული სპექტრის ათვისება: უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციები, ფულადი გზავნილები, კომუნალური გადასახადები. გრძელდება მოლაპარაკება რამდენიმე სადაზღვევო კომპანიასთან და ავამოქმედოთ სიცოცხლის დაზღვევის ნებაყოფლობითი მექანიზმი.

გასული წლის ანალოგიურად (არსებულმა პანდემიამ შეაფერხა ეს პროცესი) კომპანიის განვითარების საშუალოვადიან გეგმებში კვლავ შედის ახალი ფილიალების გახსნა საქართველოს დანარჩენ რეგიონებში, (რუსთავი, ახალციხე, მარნეული) რაც დამატებით საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ საკრედიტო პორტფელის მაქსიმალური დივერსიფიკაცია და ახალი ბაზრების ათვისება. ასევე ვგეგმავთ საკრედიტო პროდუქტებში ცვლილებას (ვადის და თანხის გაზრდა) და ახალი საკრედიტო პროდუქტების დამატებას (ავტო ლომბარდი, აგრო სესხი).

2020 წელს მნიშვნელოვანი როლი დაეთმო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უკანონო შემოსავლების აღკვეთის და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით საკითხებს. დაიხვეწა და სრულიად განახლდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის პოლიტიკა-პროცედურები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კლიენტის იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციის წესები და მოხდა მათი პრაქტიკაში იმპლემენტაცია. სრულად განახდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები სანქცირებულ სიაში და პოლიტიკურად აქტიური პირების, ასევე საეჭვო/უჩვეულო, ურთიერთდაკავშირებული პირების გამოვლენის კუთხით.

დირექტორი



საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას უარყოფას;

- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება;
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი;
- ვაჭასებით ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომზადარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის დავით გვეტაძე.

სს ფი-ქე-ეფ კაიზენი  
15 ივლისი, 2021  
თბილისი, საქართველო






შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფემილი კრედიტი"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
თანხები მოცემულია ლარში

|                           | საწესდებო კაპიტალი * | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ საკუთარი<br>კაპიტალი |
|---------------------------|----------------------|-------------------------|--------------------------|
| <b>31 დეკემბერი, 2018</b> | <b>920,000</b>       | <b>(229,125)</b>        | <b>690,875</b>           |
| პერიოდის მოგება           | -                    | 507,978                 | 507,978                  |
| დივიდენდის გატანა         | -                    | (204,209)               | (204,209)                |
| კაპიტალის ზრდა            | 580,000              | -                       | 580,000                  |
| <b>31 დეკემბერი, 2019</b> | <b>1,500,000</b>     | <b>74,644</b>           | <b>1,574,644</b>         |
| პერიოდის მოგება           | -                    | 28,124                  | 28,124                   |
| დივიდენდის გატანა         | -                    | -                       | -                        |
| კაპიტალის ზრდა            | -                    | -                       | -                        |
| <b>31 დეკემბერი, 2020</b> | <b>1,500,000</b>     | <b>102,768</b>          | <b>1,602,768</b>         |

ხელმოწერი პირები:

დირექტორი




15 ივლისი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.



შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფემილი კრედიტი"  
 სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 თანხები მოცემულია ლარში

|                                         | შენიშვნა | 2020               | 2019               |
|-----------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| საპროცენტო შემოსავლები                  | 11       | 233,879            | 321,749            |
| საპროცენტო ხარჯები                      | 11       | (96,335)           | (66,453)           |
| <b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>     |          | <b>137,543</b>     | <b>255,296</b>     |
| სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი   | 12       | (342,692)          | (153,909)          |
| <b>წმინდა საოპერაციო შემოსავალი</b>     |          | <b>(205,149)</b>   | <b>101,387</b>     |
| შემოსავალი / (ზარალი) უცხოური ვალუტიდან |          | 2,827              | (143)              |
| საკომისიო შემოსავალი                    | 13       | 2,319,036          | 2,332,936          |
| ზარალი სესხის პორტფელის გაყიდვიდან      |          | -                  | -                  |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი           |          | -                  | -                  |
| შემოსავალი ჯარიმებიდან                  |          | 165,261            | 50,491             |
| <b>არასაპროცენტო შემოსავალი</b>         |          | <b>2,487,123</b>   | <b>2,383,284</b>   |
| ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები         | 14       | (2,150,472)        | (1,830,162)        |
| ფინანსური ხარჯები                       |          | (18,362)           | (28,453)           |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>           |          | <b>(2,168,834)</b> | <b>(1,858,615)</b> |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>               |          | <b>113,140</b>     | <b>626,056</b>     |
| მოგების გადასახადი                      | 15       | (85,016)           | (118,078)          |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>             |          | <b>28,124</b>      | <b>507,978</b>     |

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



15 ივლისი, 2021  
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.




შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფემილი კრედიტი"  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 თანხები მოცემულია ლარში

|                                           | შენიშვნა | 31/12/2020       | 31/12/2019       |
|-------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები               | 5        | 294,720          | 263,633          |
| გაცემული წმინდა სესხები                   | 6        | 2,080,181        | 2,309,615        |
| სხვა აქტივები                             |          | 24,500           | 8,135            |
| ძირითადი საშუალებები                      | 7        | 232,583          | 256,291          |
| <b>სულ აქტივები</b>                       |          | <b>2,631,984</b> | <b>2,837,674</b> |
| ნასესხები დანხები                         | 8        | 958,673          | 818,223          |
| მიღებული ავანსები                         | 9        | -                | 261,834          |
| კრედიტორული დავალიანება                   |          | 15,228           | 21,149           |
| სხვა ვალდებულებები                        |          | 39,967           | 16,835           |
| საგადასახადო ვალდებულებები                |          | -                | 26,911           |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება |          | 15,376           | 118,078          |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                  |          | <b>1,029,244</b> | <b>1,263,030</b> |
| საწესდებო კაპიტალი                        | 10       | 1,500,000        | 1,500,000        |
| გაუნაწილებელი მოგება                      |          | 102,740          | 74,644           |
| <b>სულ კაპიტალი</b>                       |          | <b>1,602,740</b> | <b>1,574,644</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>      |          | <b>2,631,984</b> | <b>2,837,674</b> |

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი




15 ივლისი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.



შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნოვა კრედიტი"  
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი  
თანხები მოცემულია ლარში

|                                                                                            | 2020             | 2019             |
|--------------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>                                          |                  |                  |
| მოგება დაბეგვრამდე                                                                         | 113,140          | 626,056          |
| კორექტირება შემდეგზე:                                                                      |                  |                  |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                       | 42,533           | 39,558           |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                      | (233,879)        | (321,749)        |
| საპროცენტო ხარჯები                                                                         | 96,335           | 66,453           |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                  | (85,016)         | (118,078)        |
| სესხის გაუფასურების რეზერვი                                                                | 342,692          | 153,909          |
| წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან                                      | (2,827)          | 143              |
| <b>ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან</b>                             | <b>272,980</b>   | <b>446,292</b>   |
| <b>საოპერაციო აქტივებსა და პასივებში ცვლილებებამდე</b>                                     |                  |                  |
| (ზრდა) / შემცირება კლიენტებზე გაცემულ სესხებში                                             | (113,297)        | (1,510,525)      |
| (ზრდა) / შემცირება გადახდილ ავანსებში                                                      | (13,526)         | 29,188           |
| შემცირება / (ზრდა) საგადასახადო ვალდებულებებში                                             | (129,613)        | 143,715          |
| (ზრდა) / შემცირება სხვა ვალდებულებებში                                                     | (250,623)        | 255,060          |
| <b>ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან პროცენტსა და დაბეგვრამდე</b>    | <b>(234,079)</b> | <b>(636,270)</b> |
| მიღებული პროცენტი                                                                          | 233,879          | 321,749          |
| გადახდილი პროცენტი                                                                         | (96,335)         | (66,453)         |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                                               | -                | -                |
| <b>წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან</b>                      | <b>(96,536)</b>  | <b>(380,974)</b> |
| ფულადი საშუალებების გადინება საინვესტიციო საქმიანობებიდან                                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებების ზრდა/(შემცირება)                                                     | (18,825)         | (191,171)        |
| <b>წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საინვესტიციო საქმიანობებიდან</b>                    | <b>(18,825)</b>  | <b>(191,171)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსირების საქმიანობებიდან</b>                                        |                  |                  |
| ამოღება ნასესხები საშუალებებიდან                                                           | 1,360,386        | 1,223,356        |
| კაპიტალის ზრდა                                                                             | -                | 580,000          |
| დივიდენდის გაცემა                                                                          | -                | (204,209)        |
| ნასესხები საშუალებების დაფარვა                                                             | (1,213,935)      | (847,314)        |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება ფინანსირების საქმიანობებიდან</b>                     | <b>146,451</b>   | <b>751,833</b>   |
| <b>ფულადი საშუალებების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა</b>                              | <b>31,090</b>    | <b>179,688</b>   |
| <b>ფულადი და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>                                        | <b>263,633</b>   | <b>84,088</b>    |
| უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად საშუალებებსა და მის ექვივალენტებზე | -                | (143)            |
| <b>ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს</b>                                 | <b>294,723</b>   | <b>263,633</b>   |

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

15 ივლისი, 2021

თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

**შპს „ფემილი კრედიტი“ მიკროსაფინანსო  
ორგანიზაცია  
ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

**2020 წლის 31 დეკემბერი**

**სარჩევი**

|                                    |           |
|------------------------------------|-----------|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა    | 1-3       |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 4         |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება       | 5         |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  | 6         |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება       | 7         |
| განმარტებითი შენიშვნები            | 8         |
| <b>დასკვნის ბოლო გვერდი</b>        | <b>28</b> |



## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფემილი კრედიტი“ –ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

### *ფინანსური ანგარიშგების დასკვნა*

#### **არამოდიფიცირებული მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ მიკროსაფინანსო კომპანია შპს „ფემილი კრედიტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

#### **მოსაზრების საფუძველი**

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად.

#### **დამატებითი ინფორმაცია**

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება მმართველობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას), რომლებიც სავარაუდოა, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ამ ფინანსურ ინფორმაციაზე არ ვრცელდება დამატებით ინფორმაციაზე, მათ შორის, მმართველობის ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს არსებითად არასწორი ან არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა დამატებით ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის. ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და შევაფასოთ, რამდენად მოიცავს მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

### ***მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები***

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

### ***აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის***

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს

საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;

- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის დავით გვეტაძე.

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი  
15 ივლისი, 2021  
თბილისი, საქართველო

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფემილი კრედიტი”  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 თანხები მოცემულია ლარში

|                                           | შენიშვნა | 31/12/2020       | 31/12/2019       |
|-------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები               | 5        | 294,720          | 263,633          |
| გაცემული წმინდა სესხები                   | 6        | 2,080,181        | 2,309,615        |
| სხვა აქტივები                             |          | 24,500           | 8,135            |
| ძირითადი საშუალებები                      | 7        | 232,583          | 256,291          |
| <b>სულ აქტივები</b>                       |          | <b>2,631,984</b> | <b>2,837,674</b> |
| ნასესხები თანხები                         | 8        | 958,673          | 818,223          |
| მიღებული ავანსები                         | 9        | -                | 261,834          |
| კრედიტორული დავალიანება                   |          | 15,228           | 21,149           |
| სხვა ვალდებულებები                        |          | 39,967           | 16,835           |
| საგადასახადო ვალდებულებები                |          | -                | 26,911           |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება |          | 15,376           | 118,078          |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                  |          | <b>1,029,244</b> | <b>1,263,030</b> |
| საწესდებო კაპიტალი                        | 10       | 1,500,000        | 1,500,000        |
| გაუნაწილებელი მოგება                      |          | 102,740          | 74,644           |
| <b>სულ კაპიტალი</b>                       |          | <b>1,602,740</b> | <b>1,574,644</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>      |          | <b>2,631,984</b> | <b>2,837,674</b> |

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

15 ივლისი, 2021  
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.



შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფემილი კრედიტი”  
 სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 თანხები მოცემულია ლარში

|                                        | შენიშვნა | 2020               | 2019               |
|----------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| საპროცენტო შემოსავლები                 | 11       | 233,879            | 321,749            |
| საპროცენტო ხარჯები                     | 11       | (96,335)           | (66,453)           |
| <b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>    |          | <b>137,543</b>     | <b>255,296</b>     |
| სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი  | 12       | (342,692)          | (153,909)          |
| <b>წმინდა საოპერაციო შემოსავალი</b>    |          | <b>(205,149)</b>   | <b>101,387</b>     |
| შემოსავალი /(ზარალი) უცხოური ვალუტიდან |          | 2,827              | (143)              |
| საკომისიო შემოსავალი                   | 13       | 2,319,036          | 2,332,936          |
| ზარალი სესხის პორტფელის გაყიდვიდან     |          | -                  | -                  |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი          |          | -                  | -                  |
| შემოსავალი ჯარიმებიდან                 |          | 165,261            | 50,491             |
| <b>არასაპროცენტო შემოსავალი</b>        |          | <b>2,487,123</b>   | <b>2,383,284</b>   |
| ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები        | 14       | (2,150,472)        | (1,830,162)        |
| ფინანსური ხარჯები                      |          | (18,362)           | (28,453)           |
|                                        |          | -                  | -                  |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>          |          | <b>(2,168,834)</b> | <b>(1,858,615)</b> |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>              |          | <b>113,140</b>     | <b>626,056</b>     |
| მოგების გადასახადი                     | 15       | (85,016)           | (118,078)          |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>            |          | <b>28,124</b>      | <b>507,978</b>     |

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

15 ივლისი, 2021  
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფემილი კრედიტი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
თანხები მოცემულია ლარში

|                           | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ საკუთარი<br>კაპიტალი |
|---------------------------|--------------------|-------------------------|--------------------------|
| <b>31 დეკემბერი, 2018</b> | <b>920,000</b>     | <b>(229,125)</b>        | <b>690,875</b>           |
| პერიოდის მოგება           | -                  | 507,978                 | 507,978                  |
| დივიდენდის გატანა         | -                  | (204,209)               | (204,209)                |
| კაპიტალის ზრდა            | 580,000            | -                       | 580,000                  |
| <b>31 დეკემბერი, 2019</b> | <b>1,500,000</b>   | <b>74,644</b>           | <b>1,574,644</b>         |
| პერიოდის მოგება           | -                  | 28,124                  | 28,124                   |
| დივიდენდის გატანა         | -                  | -                       | -                        |
| კაპიტალის ზრდა            | -                  | -                       | -                        |
| <b>31 დეკემბერი, 2020</b> | <b>1,500,000</b>   | <b>102,768</b>          | <b>1,602,768</b>         |

ხელმომწერი პირები:

\_\_\_\_\_  
დირექტორი

15 ივლისი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნოვა კრედიტი”  
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი  
 თანხები მოცემულია ლარში

|                                                                                            | 2020             | 2019             |
|--------------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>                                          |                  |                  |
| მოგება დაბეგვრამდე                                                                         | 113,140          | 626,056          |
| კორექტირება შემდეგზე:                                                                      |                  |                  |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                       | 42,533           | 39,558           |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                      | (233,879)        | (321,749)        |
| საპროცენტო ხარჯები                                                                         | 96,335           | 66,453           |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                  | (85,016)         | (118,078)        |
| სესხის გაუფასურების რეზერვი                                                                | 342,692          | 153,909          |
| წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან                                      | (2,827)          | 143              |
| <b>ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან</b>                             | <b>272,980</b>   | <b>446,292</b>   |
| <b>საოპერაციო აქტივებსა და პასივებში ცვლილებებამდე</b>                                     |                  |                  |
| (ზრდა) / შემცირება კლიენტებზე გაცემულ სესხებში                                             | (113,297)        | (1,510,525)      |
| (ზრდა) / შემცირება გადახდილ ავანსებში                                                      | (13,526)         | 29,188           |
| შემცირება / (ზრდა) საგადასახადო ვალდებულებებში                                             | (129,613)        | 143,715          |
| (ზრდა) / შემცირება სხვა ვალდებულებებში                                                     | (250,623)        | 255,060          |
| <b>ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან პროცენტსა და დაბეგვრამდე</b>    | <b>(234,079)</b> | <b>(636,270)</b> |
| მიღებული პროცენტი                                                                          | 233,879          | 321,749          |
| გადახდილი პროცენტი                                                                         | (96,335)         | (66,453)         |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                                               | -                | -                |
| <b>წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საოპერაციო საქმიანობებიდან</b>                      | <b>(96,536)</b>  | <b>(380,974)</b> |
| ფულადი საშუალებების გადინება საინვესტიციო საქმიანობებიდან                                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებების ზრდა/(შემცირება)                                                     | (18,825)         | (191,171)        |
| <b>წმინდა ფულადი საშუალებების გადინება საინვესტიციო საქმიანობებიდან</b>                    | <b>(18,825)</b>  | <b>(191,171)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსირების საქმიანობებიდან</b>                                        |                  |                  |
| ამოღება ნასესხები საშუალებებიდან                                                           | 1,360,386        | 1,223,356        |
| კაპიტალის ზრდა                                                                             | -                | 580,000          |
| დივიდენდის გაცემა                                                                          | -                | (204,209)        |
| ნასესხები საშუალებების დაფარვა                                                             | (1,213,935)      | (847,314)        |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადების შემოძინება ფინანსირების საქმიანობებიდან</b>                     | <b>146,451</b>   | <b>751,833</b>   |
| <b>ფულადი საშუალებების და მისი ექვივალენტების წმინდა ზრდა</b>                              | <b>31,090</b>    | <b>179,688</b>   |
| <b>ფულადი და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>                                        | <b>263,633</b>   | <b>84,088</b>    |
| უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად საშუალებებსა და მის ექვივალენტებზე | -                | (143)            |
| <b>ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს</b>                                 | <b>294,723</b>   | <b>263,633</b>   |

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

15 ივლისი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

## 1. შესავალი

### *კომპანია და მისი საქმიანობა*

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “ფემილი კრედიტი” არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართი: საქართველო, ქუთაისი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N 23.

კომპანიის მფლობელები არიან ვიტალი რუღევსკი, უკრაინა 25%; ვასილ ანტემიიჩუკ, უკრაინა 25%; ვახტანგი ხეცურიანი, საქართველო 16%; ნინო გრძელიძე, საქართველო 17%; ლია მადულარია, საქართველო 17%.

კომპანიის მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, თავმჯდომარე ვახტანგ ხეცურიანი. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - დიანა ბალხამიშვილი.

კომპანია დაფუძნდა 2016 წლის 3 მაისს, როგორც მცირე სესხების გამცემი ფიზიკურ პირებზე უზრუნველყოფის გარეშე.

### *წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა*

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|           | 31 დეკ 2020 | 31 დეკ 2019 |
|-----------|-------------|-------------|
| 1 USD/GEL | 3.2677      | 2.8677      |
| 1 EUR/GEL | 4.0233      | 3.2095      |



## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

### მომზადების საფუძვლები

#### *შესაბამისობის პრინციპი*

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

რადგან 220 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

#### *შეფასების საფუძველი*

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

#### *ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება*

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

#### *ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები*

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე

მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შემენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს. ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

### *ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია*

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივადი ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

### *ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება*

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

### *ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა*

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

### *ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების

შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
  - მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
  - სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
  - უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.
- თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

### **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.



### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

### **ცვეთა**

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

|                        | სასარგებლო ვადა (წელი) |
|------------------------|------------------------|
| კაპიტალური დანახარჯები | 20                     |
| სატრანსპორტო ტექნიკა   | 10                     |
| ოფისის აღჭურვილობა     | 3-5                    |

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

### **შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება**

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალს ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს,

ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავს გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდევენ პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებით ან ფინანსური ვალდებულების გადმოცემასთან დაკავშირებით, მაგ.: კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება.

როდესაც სესხებისა და სხვა ვალის ინსტრუმენტების ამოღება საეჭვოა, მათი ჩამოწერა ხდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე და საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მიმდინარე ღირებულების დისკონტის საფუძველზე აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები, ზოგადად, ტარდება დარიცხვის საფუძველზე კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებით, რომელიც ფასდება ფაქტობრივად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

საკომისიო შემოსავლები, რომლებიც წარმოიქმნება მოლაპარაკებებიდან ან მესამე მხარესთან ოპერაციის თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან, მაგ.: სესხების, წილებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე ბიზნესის შესყიდვა ან რეალიზაცია, რომლის გარემოებაც შესაბამისი ოპერაციის აღსრულებისას დგება, ტარდება დასრულებისას.

### **მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

### **საწესდებო კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ორგანიზაციის საპაიო კაპიტალი ფორმირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და მასში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება დოკუმენტურად შეესაბამება მთავარი წიგნის შესაბამისად ანგარიშებზე ასახულ ცვლილებებს.

### *სესხები*

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

### *პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები*

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

#### ანარიცხები რეზერვში კრედიტების გაუფასურების გამო

კომპანია რეგულარულად განიხილავს თავის კრედიტებს გაუფასურების თვალსაზრისით. გაუფასურების დანაკარგები განისაზღვრება მიყენებული გაუფასურების დანაკარგების აღიარებისათვის მის პორტფელში. გადაწყვეტილება გამოყენებულია რეზერვში ანარიცხების დასადასტურებლად კრედიტების გაუფასურების გამო. კომპანიას აქვს თავისი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გაუფასურების დანაკარგები, ეს მეთოდოლოგია და სახელმძღვანელოები რეგულარულად გადიან მონიტორინგს და გადაიხედებიან.

#### საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

#### გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

#### ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

#### ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.



#### 4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

*ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები რომლებიც ძალაშია 2018 და 2019 წლის პირველი იანვრიდან.*

- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.
- ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.
- ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.
- ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.
- ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.
- აღიარების შეწყვეტის რეზერვები თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი ბასს 39 სტანდარტიდან. მენეჯმენტი არ იყენებს IFRS 9-ს საკუთარ ანგარიშგებებში
- ფასს 16 „ლიზინგი“ (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება 2019 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 17 სტანდარტს და მის ინტერპრეტაციებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ფასს 16-ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი სტანდარტის (ბასს 17-ის) მიდგომისგან. მენეჯმენტი არ იყენებს IFRS 16-ს საკუთარ ანგარიშგებებში

*ფასს 15, კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან შემოსავალი (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)*

ეს ახალი სტანდარტი გვთავაზობს მთავარ პრინციპს, რომ შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს მაშინ, როცა საქონელი ან მომსახურებები გადაეცემა კლიენტს, გარიგებაში ფაქტიური გაყიდვის ფასად. ნებისმიერი პაკეტით განსაზღვრული საქონელი ან მომსახურებები, რომლებიც განსხვავდება, ცალკე უნდა იყოს აღიარებული და საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი დისკონტი ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკე ელემენტებზე. როცა უზრუნველყოფა რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხები აღიარებული უნდა იყოს, თუ მათ არ აქვთ შებრუნების მნიშვნელოვანი რისკი. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველყოფით გამოწვეული ხარჯები უნდა კაპიტალიზდებოდეს და

ამორტიზებული იქნას პერიოდის განმავლობაში, როცა კონტრაქტის სარგებელი მოიხმარება. ეს ცვლილება არ არის მოსალოდნელი, რომ რაიმე გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშებზე.

**ფასიკ 22 “ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი ანაზღაურება” (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)**

ინტერპრეტაცია ითვალისწინებს ოპერაციის თარიღის განსაზღვრის წესს უცხოურ ვალუტაში ოპერაციების შესახებ სტანდარტის გამოყენების დროს. ბასს 21. ინტერპრეტაცია გამოიყენება როდესაც საწარმო იხდის ან იღებს ანაზღაურებას წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კონტრაქტებისთვის. ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ ოპერაციის თარიღი არის დღე, რომელზეც საწარმო თავდაპირველად აღიარებს არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წინასწარი ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად. რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეულ გადახდასთან ან მიღებასთან დაკავშირებით. ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეული გადახდისთვის ან მიღებისთვის. არანაირი არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი ჯგუფზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

**ფასიკ 23 “გაურკვევლობები მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ” (გამოცემულია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)**

ბასს 12 მიუთითებს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესს, მაგრამ არ მიუთითებს გაურკვევლობების შედეგების ასახვის წესს. ინტერპრეტაცია განსაზღვრავს აღიარების და შეფასების მოთხოვნების წესს ბასს 12-ში, გაურკვევლობის შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ. საწარმომ უნდა განსაზღვროს განიხილოს თუ არა თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი ცალკე თუ სხვა ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმებთან ერთად, რომელი მიდგომის საფუძველზეც უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმომ უნდა დაუშვას, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს იმ თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც გააჩნია და სრული ინფორმაცია აქვს ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს. თუ საწარმოს დასკვნით არ არის შესაძლებელი რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, გაურკვევლობის ეფექტი უნდა აისახოს დაკავშირებული დაბეგვრადი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში, სარწმუნო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რომელი მეთოდის საფუძველზეც საწარმო უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმო ასახავს ცვლილების შედეგს ფაქტობრივად და გარემოებების მიხედვით ან ახალი ინფორმაციის შედეგს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე, წინასწარი აღრიცხვის ცვლილების სახით. ცვლილებების მაგალითები ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელმეორედ შეფასება, მოიცავს და არა მხოლოდ შემოწმებებს ან ქმედებებს საგადასახადო ორგანოს მიერ, ცვლილებებს წესებში, რომელიც დადგენილია საგადასახადო ორგანოს მიერ ან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო რეჟიმის შემოწმების ან განმეორებით შემოწმების უფლების ამოწურვა. საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შეთანხმების არარსებობა ან უთანხმოება არ მოიცავს ცვლილებას ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

## 5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

| ფული და ფულის ექვივალენტები            | 12/31/2020     | 12/31/2019     |
|----------------------------------------|----------------|----------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში            | 241,622        | 145,638        |
| მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში  | 37,793         | 105,443        |
| ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში             | 15,286         | 12,498         |
| მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში   | 19             | 54             |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b> | <b>294,720</b> | <b>263,633</b> |

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

## 6. გაცემული სესხები

| კლიენტებზე გაცემული სესხები                                             | 12/31/2020       | 12/31/2019       |
|-------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| კლიენტებზე სესხად გაცემული თანხები                                      | 2,179,203        | 2,293,825        |
| დარიცხული პროცენტი                                                      | 40,290           | 48,300           |
| <b>ნაშთი წლის ბოლოს</b>                                                 | <b>2,219,493</b> | <b>2,342,125</b> |
| შემდეგის გამოკლებით: გაუფასურების დანაკარგების გამო ანარიცხები რეზერვში | (139,311)        | (32,510)         |
| <b>კლიენტებზე გაცემული წმინდა კრედიტები</b>                             | <b>2,080,181</b> | <b>952,960</b>   |

კლიენტებზე გაცემული სესხები შედგება შემდეგი კლასების სესხებისგან:

| კლიენტებზე გაცემული სესხები შედგება შემდეგი კლასების სესხებისგან:       | 12/31/2020       | 12/31/2019       |
|-------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| სამომხმარებლო სესხი                                                     | 2,219,493        | 2,342,125        |
| შემდეგის გამოკლებით: გაუფასურების დანაკარგების გამო ანარიცხები რეზერვში | (139,311)        | (32,510)         |
| <b>სულ კლიენტებზე გაცემული კრედიტები</b>                                | <b>2,080,181</b> | <b>2,309,615</b> |

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების დანაკარგების გამო ანარიცხები რეზერვში შეადგენს:

| კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების დანაკარგების გამო ანარიცხები რეზერვში შეადგენს: | 12/31/2020     | 12/31/2019    |
|-------------------------------------------------------------------------------------------|----------------|---------------|
| პერიოდის დასაწყისში                                                                       | 32,510         | 78,846        |
| წლის დარიცხვა/უკუბრუნვა                                                                   | 106,801        | 46,336        |
| <b>წლის ბოლოს</b>                                                                         | <b>139,311</b> | <b>32,510</b> |
| ინდივიდუალური გაუფასურება                                                                 | -              | -             |
| ერთობლივი გაუფასურება                                                                     | 139,311        | 32,510        |
| <b>სულ გაუფასურება</b>                                                                    | <b>139,311</b> | <b>32,510</b> |

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “ფემილი კრედიტი”  
 შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი  
 თანხები მოცემულია ლარში

კლიენტებზე გაცემული სესხები შედგება შემდეგი კლასების სესხებისგან:

| კლიენტებზე გაცემული სესხები შედგება შემდეგი კლასების სესხებისგან:<br>12/31/2020 | იპოთეკური | სამომხმარებლო |
|---------------------------------------------------------------------------------|-----------|---------------|
| მიმდინარე და არა გაუფასურებული                                                  | -         | 1,826,076     |
| ვადაგადაცლებული, მაგრამ არა გაუფასურებული                                       |           |               |
| 30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული                                              | -         | 84,100        |
| 31-180 დღით ვადაგადაცილებული                                                    | -         | 101,167       |
| სესხები, რომლებიც ერთბაშად განისაზღვრება, რომ გაუფასურდება                      |           |               |
| 30 დღეზე ნაკლებით ვადაგადაცილებული                                              | -         | 4,559         |
| 31-180 დღით ვადაგადაცილებული                                                    | -         | 24,906        |
| 180 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული                                                | -         | 178,683       |
| გაუფასურების უზრუნველყოფის გამოკლებით                                           |           | (139,311)     |
| სულ კლიენტებზე გაცემული სესხები                                                 | -         | 2,080,181     |

უზრუნველყოფა და კრედიტის სხვა დამატებით გაძლიერება

|                                                                         | იპოთეკური | სამომხმარებლო |
|-------------------------------------------------------------------------|-----------|---------------|
| არაუზრუნველყოფილი სესხები                                               | -         | 2,219,493     |
| უზრუნველყოფილი სესხები                                                  | -         | -             |
| შემდეგის გამოკლებით: გაუფასურების დანაკარგების გამო ანარიცხები რეზერვში | -         | (139,311)     |
| სულ კლიენტებზე გაცემული სესხები                                         | -         | 2,080,181     |

## 7. ძირითადი საშუალებები

| საბალანსო                 | ოფისის<br>აღჭურვილობა | კაპიტალური<br>დანახარჯები | სატრანსპორტო<br>საშუალებები | არამატერიალური<br>აქტივები | სულ     |
|---------------------------|-----------------------|---------------------------|-----------------------------|----------------------------|---------|
| ბალანსი 31 დეკემბერი 2018 | 109,780               | 7,995                     | 12,500                      | 4,380                      | 134,655 |
| შეძენა                    | 135,140               | 26,295                    | 11,000                      | 18,736                     | 191,171 |
| გასვლა                    | -                     | -                         | -                           | -                          | -       |
| ბალანსი 31 დეკემბერი 2019 | 244,920               | 34,290                    | 23,500                      | 23,116                     | 325,826 |
| შეძენა                    | 13,355                | 7,450                     | -                           | -                          | 20,805  |
| გასვლა                    | (2,300)               | -                         | -                           | -                          | (2,300) |
| ბალანსი 31 დეკემბერი 2020 | 258,275               | 41,740                    | 23,500                      | 23,116                     | 344,331 |

|                           |        |       |       |       |        |
|---------------------------|--------|-------|-------|-------|--------|
| ცვეთა                     |        |       |       |       |        |
| ბალანსი 31 დეკემბერი 2018 | 23,129 | 2,503 | 4,263 | 82    | 29,977 |
| შეძენა                    | 30,633 | 3,137 | 2,560 | 3,228 | 39,558 |
| გასვლა                    | -      | -     | -     | -     | -      |
| ბალანსი 31 დეკემბერი 2019 | 53,762 | 5,640 | 6,823 | 3,310 | 69,535 |



მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “ფემილი კრედიტი”  
 შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი  
 თანხები მოცემულია ლარში

|                                  |                |               |               |               |                |
|----------------------------------|----------------|---------------|---------------|---------------|----------------|
| შეძენა                           | 33,230         | 3,760         | 2,768         | 2,776         | 42,533         |
| გასვლა                           | (323)          | -             | -             | -             | (323)          |
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2020</b> | <b>86,669</b>  | <b>9,400</b>  | <b>9,591</b>  | <b>6,086</b>  | <b>111,745</b> |
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2018</b> | <b>86,651</b>  | <b>5,492</b>  | <b>8,237</b>  | <b>4,298</b>  | <b>104,678</b> |
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2019</b> | <b>191,158</b> | <b>28,650</b> | <b>16,677</b> | <b>19,806</b> | <b>256,291</b> |
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2020</b> | <b>171,606</b> | <b>32,341</b> | <b>13,909</b> | <b>17,030</b> | <b>232,586</b> |

## 8. ნასესხები თანხები

| ნასესხები თანხები            | 31.12.2020     | 31.12.2019     |
|------------------------------|----------------|----------------|
| სესხი ლარში                  | 950,989        | 813,788        |
| დარიცხული პროცენტი ლარში     | 13,685         | 4,434          |
| <b>სულ ნასესხები თანხები</b> | <b>964,673</b> | <b>818,223</b> |

კომპანიას სესხის აქვს მიღებული სს ხალიკ ბაკისა და დაკავშირებული მხარისგან. სს ხალიკ ბანკისგან მიღებული სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12%. სესხი უზრუნველყოფილი არის უძრავი ქონებით. დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხის საპროცენტო განაკვეთი მერყეობს წლიურ 10-15% ის ფარგლებში.

## 9. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები შედგება კლიენტის ანგარიშებისგან. კერძოდ, კლიენტების მიერ ჩარიცხული საავანსო თანხებისგან. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსები შეადგენს 0 ლარს. ხოლო, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსები შეადგენს 261,834 ლარს.

## 10. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კომპანია დაარსდა 2016 წლის 3 მაისს. 2017 წელს კაპიტალი იყო 279,200 ლარი. 2018 წლის მანძილზე მოხდა კაპიტალის ზრდა 920,000 ლარამდე. ხოლო 2019 წლის პერიოდში კაპიტალში განხორციელდა 580 000 ლარის შენატანი. ხოლო 2019 წლის პერიოდში კაპიტალში განხორციელდა 580 000 ლარის შენატანი. 2020 წლის პერიოდში კაპიტალში ცვლილება არ მომხდარა. შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,500,000

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებდეს ფულადი სახსრებით შევსებულ 500,000 ლარიან კაპიტალს. კაპიტალი უნდა გაიზარდოს 1,000,000 ლარამდე 2019 წლის 30 ივნისამდე. კომპანიის კაპიტალი შეადგენს: 1,500,000 ლარს. ამდენად მარეგულირებლის ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

## 11. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

| საპროცენტო შემოსავალი                                                                                       | 2020           | 2019           |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| შემოსავალი პროცენტებიდან ამორტიზებული ღირებულებით აღნუსხულ ფინანსურ აქტივებზე კლიენტებზე გაცემული კრედიტები | 233,879        | 321,749        |
| <b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>                                                                            | <b>233,879</b> | <b>321,749</b> |
| <b>საპროცენტო ხარჯი</b>                                                                                     |                |                |
| საპროცენტო ხარჯები ამორტიზებული ღირებულებით აღნუსხულ ფინანსურ ვალდებულებებზე სხვა კომპანიებისგან            | 13,690         | 9,057          |
| ბანკებისგან                                                                                                 | 82,646         | 57,396         |
| <b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>                                                                                 | <b>96,335</b>  | <b>66,453</b>  |
| <b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>                                                                         | <b>137,543</b> | <b>255,296</b> |

## 12. სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი

გაცემული სესხების დარეზერვებას კომპანია ახდენს ფასს 9 სტანდარტის მიხედვით.

2019 წლის მდგომარეობით ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით არის 153,909 ლარი. ხოლო 2020 წლის მდგომარეობით ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით არის 342,692 ლარი.

## 13. საკომისიო შემოსავალი

2018 წლის 24 დეკემბრიდან შეიცვალა პროგრამა და ასევე სესხის გაცემის პრინციპი. ახალი პრინციპი ითვალისწინებს შემდეგს: სესხის გაცემის დროს მსესხებელი იხდის სესხის გაცემის საკომისიოს სხვადასხვა პროცენტით (გიგზავნიტ სესხის გაცემის ინსტრუქციას სადაც ყვითლად არის მონიშნული აღნიშნული საკითხი) და სესხის სარგებლობის პროცენტი შეადგენს 12%. დაცულია ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული 50% იანი ეფექტური განაკვეთი.

ამასთანავე, საკომისიო შემოსავლები მოიცავს, პოკეტის მომსახურების საკომისიო რომელიც შეადგენს მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლის დიდ ნაწილს. აღნიშნული ოპერაცია გულისხმობს შემდეგს: ორგანიზაციას აქვს შეძენილი მობილური გადახდის აპარატები ე.წ "პოკეტი" რომლითაც მომსახურებას უწევს ადგილზე კლიენტებს. რაც გულისხმობს შემდეგს: კლიენტის მიერ გადასახდელი თანხის ადგილზე გადაუხდელობის შემთხვევაში, კონსულტანტი აკითხავს კლიენტს მის მიერ მითითებულ ადგილას და ისე ხდება თანხის გადახდა. სწორედ ასეთი მომსახურების საკომისიოს გადახდა შედის დამატებით საკომისიო შემოსავლებში. არნიშნული ხორციელდება ეროვნული ბანკის მოთხოვნების დაკმაყოფილებით.

2020 წლის მდგომარეობით საკომისიო შემოსავალი არის 2,319,036 ლარი. ხოლო, 2019 წლის მდგომარეობით საკომისიო შემოსავალი არის 2,332,936 ლარი.

#### 14. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

| ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები             | 2020             | 2019             |
|---------------------------------------------|------------------|------------------|
| პრემიის ხარჯი                               | 603,430          | 547,791          |
| ხელფასის ხარჯი                              | 929,976          | 681,411          |
| ოფისის იჯარის ხარჯები                       | 356,169          | 207,091          |
| ტრანსპორტის შენახვის ხარჯი                  | 85,040           | 58,869           |
| კომუნალური მომსახურების ხარჯები             | -                | 24,148           |
| ცვეთის ხარჯი                                | 42,533           | 39,558           |
| უსაფრთხოების ხარჯები                        | 37,381           | 36,456           |
| საგადასახადო ხარჯი                          | -                | 266              |
| საკანცელარიო ხარჯები                        | 12,042           | 13,452           |
| ქონების გადასახადი                          | 2,243            | 2,160            |
| ინტერნეტის და საკომუნიკაციო ხარჯი           | 48,747           | 18,651           |
| კრედიტინფოს მომსახურების ხარჯი              | -                | 70,326           |
| პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების ხარჯი | -                | 14,400           |
| საპენსიო ფონდი                              | 27,055           | 22,949           |
| სხვა ხარჯები                                | 5,856            | 92,634           |
| <b>სულ ხარჯები</b>                          | <b>2,150,472</b> | <b>1,830,162</b> |

#### 15. მოგების გადასახადის ხარჯი

| მოგების გადასახადის ხარჯი           | 2020          | 2019           |
|-------------------------------------|---------------|----------------|
| მოგების გადასახადის ხარჯი           | 85,016        | 118,078        |
| <b>სულ მოგების გადასახადი ხარჯი</b> | <b>85,016</b> | <b>118,078</b> |

#### 16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. რისკის უმთავრესი სახე არის საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია დგას ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული რისკის ქვეშ მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანიის მიერ გამოყენებული და ფინანსურ რისკთან დაკავშირებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

|                             | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|-----------------------------|------------|------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები | 294,720    | 263,633    |
| გაცემული წმინდა სესხები     | 2,080,181  | 2,309,576  |
| ნასესხები თანხები           | 964,673    | 818,223    |
| სხვა ვალდებულებები          | 39,967     | 16,835     |
| მიღებული ავანსები           | -          | 261,834    |

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “ფემილი კრედიტი”  
 შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი  
 თანხები მოცემულია ლარში

|                         |        |        |
|-------------------------|--------|--------|
| სხვა აქტივები           | 24,500 | 8,174  |
| კრედიტორული დავალიანება | 9,228  | 21,149 |

## 17. უცხოური ვალუტის რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა ხორციელდება ლარში. სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული, აგრეთვე აშშ დოლარში დენომინირებული გასესხებული და ნასესხები თანხებიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც წარდგენილია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით:

### 31-დეკ-2020

| ფინანსური აქტივები                 | ლარი             | უცხოური<br>ვალუტა | სულ              |
|------------------------------------|------------------|-------------------|------------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტი          | 279,415          | 15,305            | 294,720          |
| წმინდა გაცემული სესხები            | 2,080,181        | -                 | 2,080,181        |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>2,359,596</b> | <b>15,305</b>     | <b>2,374,901</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                  |                   |                  |
| ნასესხები თანხები                  | 964,673          | -                 | 964,673          |
| მიღებული ავანსები                  | -                | -                 | -                |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>964,673</b>   | <b>-</b>          | <b>964,673</b>   |
| <b>ღია საბალანსო პოზიცია</b>       | <b>1,394,923</b> | <b>15,305</b>     | <b>1,410,228</b> |

### 31-დეკ-2019

| ფინანსური აქტივები                 | ლარი             | უცხოური<br>ვალუტა | სულ              |
|------------------------------------|------------------|-------------------|------------------|
| ფული და ფულის ეკვივალენტი          | 251,081          | 12,552            | 263,633          |
| წმინდა გაცემული სესხები            | 2,309,576        | -                 | 2,309,576        |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>2,560,657</b> | <b>12,552</b>     | <b>2,573,209</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                  |                   |                  |
| ნასესხები თანხები                  | 818,223          | -                 | 818,223          |
| მიღებული ავანსები                  | 261,834          | -                 | 261,834          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>1,080,057</b> | <b>-</b>          | <b>1,080,057</b> |
| <b>ღია საბალანსო პოზიცია</b>       | <b>1,480,600</b> | <b>12,552</b>     | <b>1,493,152</b> |



## 18. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, როდესაც სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანიას არ ემუქრება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი, რამდენადაც კომპანიის სესხები და ნასესხები თანხები არის ფიქსირებული, დადგენილი საპროცენტო განაკვეთით.

## 19. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

კომპანიას რისკი ემუქრება თავისი ძირითადი საქმიანობისგან, რადგანაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კლიენტებზე სხვადასხვა ტიპის სესხების გაცემა.

საკრედიტო რისკისგან თავის ასარიდებლად, კომპანიას აქვს საკრედიტო სახელმძღვანელო და კომპანიის ყველა სესხი გაიცემა ამ სახელმძღვანელოს მითითებების შესაბამისად, კომპანია აქტიურად აკონტროლებს სესხის გაცემის პროცესს.

კომპანია აგრეთვე გასცემს უზრუნველყოფილ სესხებს, ამგვარად ამცირებს კლიენტის გადამხდელუნარიობის შემთხვევაში საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის საფრთხე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

|                             | 31-დეკ-2020 | 31-დეკ-2019 |
|-----------------------------|-------------|-------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები | 294,720     | 263,633     |
| გაცემული წმინდა სესხები     | 2,080,181   | 2,309,576   |

## 20. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით (შენიშვნა 5), აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არადერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს “ფემილი კრედიტი”  
 შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი  
 თანხები მოცემულია ლარში

ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

| 31-დეკ-2020                                    | 1 წლამდე         | 1-დან-5<br>წლამდე | 5 წელს ზემოთ | სულ              |
|------------------------------------------------|------------------|-------------------|--------------|------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                      |                  |                   |              |                  |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                    | 2,080,181        | -                 | -            | 2,080,181        |
| <b>სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები</b>      | <b>2,080,181</b> | -                 | -            | <b>2,080,181</b> |
| ფული და ფულის ექვივალენტები                    | 294,720          | -                 | -            | 294,720          |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>                  | <b>2,374,901</b> | -                 | -            | <b>2,374,901</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>                 |                  |                   |              |                  |
| ნასესხები სახსრები                             | 964,673          | -                 | -            | 964,673          |
| <b>სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>964,673</b>   | -                 | -            | <b>964,673</b>   |
| სხვა ვალდებულებები                             | 39,967           | -                 | -            | 39,967           |
| მიღებული ავანსები                              | -                | -                 | -            | -                |
| კრედიტორული დავალიანება                        | 9,228            | -                 | -            | 9,228            |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>             | <b>1,004,640</b> | -                 | -            | <b>1,013,868</b> |

| 31-დეკ-2019                                    | 1 წლამდე         | 1-დან-5<br>წლამდე | 5 წელს ზემოთ | სულ              |
|------------------------------------------------|------------------|-------------------|--------------|------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                      |                  |                   |              |                  |
| კლიენტებზე გაცემული სესხები                    | 2,309,576        | -                 | -            | 2,309,576        |
| <b>სულ სარგებლიანი ფინანსური აქტივები</b>      | <b>2,309,576</b> | -                 | -            | <b>2,309,576</b> |
| ფული და ფულის ექვივალენტები                    | 263,633          | -                 | -            | 263,633          |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>                  | <b>2,573,209</b> | -                 | -            | <b>2,573,209</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>                 |                  |                   |              |                  |
| ნასესხები სახსრები                             | 818,223          | -                 | -            | 818,223          |
| <b>სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>818,223</b>   | -                 | -            | <b>818,223</b>   |
| სხვა ვალდებულებები                             | 16,835           | -                 | -            | 16,835           |
| მიღებული ავანსები                              | 261,834          | -                 | -            | 261,834          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>             | <b>1,096,892</b> | -                 | -            | <b>1,096,892</b> |

## 21. კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, და დაგროვილ მოგება-ზარალს.

კომპანია ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით ვალდებულია 1,000,000-ამდე გაზარდოს კაპიტალი მიმდინარე წლის სექტემბრამდე. დასკვნის პერიოდისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის

კაპიტალი უკვე 1,500,000 ლარია. არ მოისაზრება რისკი რომლის მიხედვითაც კომპანია ვერ მოახერხებს ადგილობრივი რეგულაციის მოთხოვნის დაცვას.

## 22. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებულ პირებისგან მიღებული სესხი:

დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი:

|                      | 31-დეკ-2020   | 31-დეკ-2019   |
|----------------------|---------------|---------------|
| დირექტორი (მფლობელი) | 93,176        | 72,638        |
| <b>სულ</b>           | <b>93,176</b> | <b>72,638</b> |

## 23. სახელმწიფო და პირობითი ვალდებულებები

კომპანიას აქვს განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განმარტებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით ხასიათდება, რაც ხანდახან საკმარისად ნათელი არ არის და სხვადასხვა განმარტებებს ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, საგადასახადო

ორგანოს არ შეუძლია რაიმე ვალდებულების დაკისრება დამატებითი გადასახადების, ჯარიმის ან პირგასამტეხლოს გადასახდელად, თუ იმ წლის დასასრულიდან, როდესაც დარღვევა მოხდა, ექვსი წელია გასული. ასეთი გარემოებები, რომლებსაც საქართველოში საგადასახადო რისკებისკენ მივყავართ, არის უფრო მაღალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ყველა შესაძლო საგადასახადო პირობითი ვალდებულება ინახება და აღინუსხება კომპანიის მიერ სათანადოდ.

კომპანია ექვემდებარება სამართლებრივ სარჩელებს და საჩივრებს. მაგრამ მიჩნეულია, რომ კომპანია არ დაექვემდებარება მნიშვნელოვან საჩივრებს, რასაც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებზე არსებითი გავლენა ექნება.

## 24. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან; გაუნაწილებელი მოგება და მიმდინარე წელს მოგება.

ასევე, 2021 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით სესხის პორტფელთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

## 25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 15 ივლისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემულისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.